პროფესიული განვითარება: კომპლექსური დავალებები, მუშა გაკვეთილის, სამოდელო გაკვეთილის,პროექტის გეგმები და რეფლექსია, კვლევის აღწერა, შექმნილი სასწავლო რესურსის აღწერა და სხვა აქტივობები,კონფერენციაში თუ სემინარებზე მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, შეფასებისა და თვითშეფასების ფორმები, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები და სხვა.

პროგრამები:ყველა კლასისათვის სასწავლო კურსის პროგრამა,შეფასების რუბრიკები.

შემაჯამებელი დავალებები: შემაჯამებელი სამუშოების ანალიზები, ანალიზების საერთო სემესტრული ანგარიში.

ანგარიშები: სემესტრული ანგარიშები,თვითშეფასების ფორმები.

საგნობრივი კათედრების წლიური სამუშაო გეგმები წარმოდგენილია დანართის № 3 სახით.

სკოლაში ფუნქციონირებს 9 კათედრა:

1. ქართული ენის კათედრა;
2. მშობლიური (რუსული) ენის კათედრა;
3. უცხოური ენების კათედრა;
4. მათემატიკის კათედრა;
5. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა;
6. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა;
7. დაწყებითი (I-V) კლასების კათედრა;
8. ესთეტიკური აღზრდის კათედრა;
9. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა.

თითოეული საგნობრივი ჯგუფის კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში, ერთი წლის ვადით, ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც საარჩევნო პერიოდში ხელმძღვანელობს კათედრას. ვადის გასვლამდე შესაძლებელია მოხდეს მისი გადარჩევა.

კათედრის ხელმძღვანელის ფუნქციებია:

- სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის წევრებთან ერთად შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს სკოლის დირექციას სასწავლო წლის მანძილზე ჩასატარებელი სამუშაოების გეგმა;
- რეგულარული შეხვედერების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, საჭიროების შემთხვევვაში ოქმებისა და საბუთების წარმოება);
- კათედრის გადაწყვეტილებების მიწოდება სკოლის მართვის ორგანოებისათვის;
- პროფესიული განვითარებისათვის სასარგებლო ღონისძიებებების ორგანიზება (მასწავლებლებისთვის დახმარების გაწევა,ტრენინგების, კონფერენციების და სხვ. მოწყობა);
- დროებით დასაქმებული,მაძიებელი/მოწვეული პედაგოგის საქმიანობის შემსწავლელ კომისიაში აქტიური მონაწილეობა და პედაგოგობის კანდიდატისთვის რეკომენდაციის გაწევა ადმინისტრაციის წინაშე, ხანგრძლივი ვადით ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე;
- კათედრის პორტფოლიოს წარმოება;
- ხელს უწყობს და მონიტორინგს უწევს ინფორმაციის გავრცელებას შესაბამისი აქტივობის შესახებ;
- ხელს უწყობს კათედრის წევრებს შორის კოლიგიალური თანამშრომლობით ურთიერთობების დამკვიდრებას,კათედრის ახალი წევრის ადაპტაციას;
- ხელს უწყობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის დამკვიდრებას.

თავი II. საგანმანათლებლო რესურსები

2.1. საგანმანათლებლო რესურსების მართვა

1. საწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის.
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, დისტანციური სწავლებისთვის საჭირო პლატფორმა და ელექტრონული რესურსები, კომპიუტერული კლასი და სხვ.) ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის.
3. სკოლამ შეიმუშავა და მოსწავლეებს გააცნო სკოლაში არსებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის წესები.

2.2. საგანმანათლებლო რესურსების ტიპები

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები;
ბ) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელო/სერია;
გ)დამატებითი დამხმარე ლიტერატურა;
დ) საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები;
ე) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები (რუკები, პლაკატები, პოსტერები,მოდელები,მაკეტები და სხვ.)
ვ) ბიბლიოთეკა, თეატრი, მუზეუმი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ.)

2.3. სახელმძღვანელოს შერჩევა

- მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დადგენილია, რომ ერთი სკოლის ფარგლებში თითოეული კლასის ყველა პარალელში, აგრეთვე ყველა იმ კლასში, რომელსაც მოიცავს სერია (I-IV; V-VI; (III-IV - მე და საზოგადოების შემთხვევაში); უნდა ისწავლებოდეს ერთიდაიმავე გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოთი/სერიით;
- სახელმძღვანელოს/სერიის შერჩევა ხორციელდება გრიფის მოქმედების ვადით. მისი შეცვლა ალტერნატიული გრიფირებული სახელმძღვანელოებით/სერიით დაიშვება კანონმდებლობით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევაში.

თავი III. შეფასების სისტემა, სქემა, შეფასების რუბრიკები

3.1.მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

ესგ-ის VII თავის მიხედვით:

1.მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.
2.მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.
3.მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:
ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.
4.ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

3.2.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში

1. შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.
2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
3. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება;ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების	განხორციელებული წინსვლა წინარე	მიღწევის დონე საგნობრივი

კრიტერიუმი	შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.	სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	**მასწავლებელი:** ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.. **მოსწავლეები:** თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

განმავითარებელი შეფასება მოიცავს არა მხოლოდ მოსწავლისთვის უკუკავშირის მიწოდებას მოსწავლის განვითარების მიზნით, არამედ სასწავლო პროცესის ეფექტიანობასთან დაკავშირებული დასკვნების გაკეთებასაც სწავლების განვითარების მიზნით და სწავლების მორგებას მოსწავლეტა საჭიროებებზე. ვინაიდან მოსწავლისთვის უკუკავშირის მიწოდების შემდეგ, ინფორმირებული მოსწავლე (განსაკუთრებით დაწყებით კლასებში), შესაძლოა ვერ შეძლებს ხარვეზების აღმოფხვრას, მასწავლებელი აუცილებლად გაანალიზებს წარმოდგენილი ხარვეზების მიზეზებს,მიაგნებს მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის საჭირო ეფექტურ სწავლების საშუალებებს, აამოქმედებს მათ, რათა დაეხმაროს მოსწავლეს.

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

ქულები	**შეფასების დონეები**
10	**მაღალი**
9	
8	**საშუალოზე მაღალი**
7	
6	**საშუალო**
5	
4	**საშუალოზე დაბალი**
3	
2	**დაბალი**

1	

3.3 აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

1. **I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში** მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.
2. **V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში** განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.
3. **V-XII კლასებში** სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: **ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.**
4. **პედაგოგიური საბჭო №1-ის (08.09.22) გადაწყვეტილებით არჩევით საგნებში შემაჯამებელი სამუშაოები შეფასდება განმავითარებელი შეფასებით.**
5. ყველა სავალდებულო საგნებში მოსწავლეები ფასდებიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით.
6. ასეთ დამატებით საგნებში, როგორიცაა „ძველი მსოფლიო ისტორია“ და „შუა საუკუნეების ისტორია“, მოსწავლეები ფასდებიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით, საგანი „ჩინური ენა“ კი ფასდება ჩათვლის სისტემით: **ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.**
7. **შეფასების რუბრიკები** თითოეულ საგანში წარმოდგენილია დანართის № 4 სახით.

3.4.მოსწავლის შეფასების კომპონენტები

- სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

მიმდინარე საშინაო დავალება

მიმდინარე საკლასო დავალება

შემაჯამებელი დავალება

- მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.
- სემესტრის განმავლობაში <u>განმსაზღვრელი შეფასებით</u> მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (**V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),**
ბ) მიმდინარე საშინაო დავალება **(VII-XII კლასები),**
გ) შემაჯამებელი დავალება **(V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).**
ამ განსაზღვრულ კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვს.

- I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ <u>განმავითარებელი შეფასება.</u>
- I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება <u>მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.</u>
- V კლასის მეორე სემესტრისა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება <u>როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.</u>

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	**V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი**	**საბაზო-საშუალო საფეხურები**
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

- შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა ***კომპლექსური,*** კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.
- ეროვნული სასწავლო გეგმა V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას.
- მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში);
- თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით (თავი I. 1.5);
- თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

3.5. განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

ა) საგნის მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
ბ) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში;
გ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს **V კლასის წლიური ქულა,** რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია.

3.6. ქულების გამოანგარიშების წესი

1.საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);
გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე;
დ) თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მიმღებ სკოლაში რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, მიმღები სკოლა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე მიმღებ სკოლაში მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით;
ე) ესგ-ს 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.
2.<u>საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:</u>
ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;
ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);
გ) თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემეტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს ესგ-ს 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი ქულა, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის წლიურ ქულად. ამასთან, მიმღებმა სკოლამ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;
დ) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ., თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).
3. <u>საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესი:</u>
ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე, 9.75 მრგვალდება 9.8-მდე).

<u>გ) საფეხურის ქულის გამოთვლისას არ იანგარიშება დამატებით საგნებში მიღებული წლიური ქულა.</u>

<u>3.7.კლასისა და საფეხურის დაძლევა</u>

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა, დამატებითი საგნების წლიური ქულის ჩათვლით, (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ესგ-ს 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.
2. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
3. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
4. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.
6. თუ მოსწავლემ კონკრეტულ კლასში ვერ გადალახა კერძო სკოლების და საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე საჯარო სკოლების მიერ დადგენილი ბარიერი, მაგრამ დაძლია ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ბარიერი, უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სხვა სკოლის მომდევნო კლასში.

<u>3.8. გამოცდის ტიპები</u>



სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.

-სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წრმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.
მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.
- გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრული ქულა და ჯამი იყოფა ორზე.
-სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.
წლიური გამოცდის დანიშვნა/არდანიშვნის საკითხს წყვეტს სკოლა.
<u>2022/2023 სასწავლო წელს პედსაბჭოს № 1(08.09.22) გადაწვეტილებით სკოლაში ცალკეულ საგნებში წლიური გამოცდები არ ჩატარდება.</u>

საშემოდგომო გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს რომელიმე საგანში წლიური ქულა აქვს 5-ზე ნაკლები.
-საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.
-საშემოდგომო გამოცდა უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა ან მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
-საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს უნდა მიეცეს არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისთვის. სკოლა ვალდებულია, გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მას დაენიშნა აღნიშნული ტიპის გამოცდა.
-მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე. **საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.**
<u>საშემოდგომო გამოცდის ჩატარების პროცედურა სკოლის მიერ განისაზღვრება შემდეგნაირად:</u>

- დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განისაზღვრება გამოცდის თარიღი, შედგება საგნის/საგნების საგამოცდო კომისია (კომისიაში შესაძლებელია მშობელთა სათათბიროს წარმომადგენლის შეყვანა);
- კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარით, საგნის პედაგოგით და კიდევ ერთი წევრით.
- დამრიგებელი ვალდებულია გამოცდების შესახებ აცნობოს მშობელს.
- ბარიერგადაულახავ მოსწავლეებს წინასწარ მიეწოდებათ იმ საკითხების ჩამონათვალი, რომელიც სავალდებულოა მინიმალური ზღვარის გადასალახავად.

- სასწავლო წლის დასრულებიდან 2 კვირის მანძილზე სკოლა უწევს კონსულტაციას იმ მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომელშიც მათ ვერ გადალახეს სკოლის მიერ დადგენილი ბარიერი.
- გამოცდის ტიპი - წერითი
- დგება შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით.
- თუ კომისიის რომელიმე წევრს განსხვავებული აზრი აქვს, იგი უფლებამოსილია თავი შეიკავოს ხელის მოწერისაგან. ამ შემთხვევაში იგი ვალდებულია თავისი განსხვავებული აზრი წერილობითი (ფორმით) დაურთოს უწყისს.

ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;

-ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომლებზედაც ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის მისაღებად მოსწავლეს დაძლეული უნდა ჰქონდეს საშუალო საფეხური.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

1. შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას. წარჩინებული მოსწავლეების წახალისების წესს, სურვილისამებრ, განსაზღვრავს სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით.
2. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 10 დამრგვალების გარეშე.
3. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი იღებს ვერცხლის მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.
4. პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასის/კლასების, ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალი დაშესაბამისი სერტიფიკატები არ გაიცემა.

3.9.გაცდენები

1. მოსწავლის გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში, მათ შორის, ესგ-ს 38-ე მუხლის მე-5 პუნქტით

გათვალისწინებული გაცდენები.
2. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება.
3. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.
4. კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.
5. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე ეროვნულ და საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ესგ-ს 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

3.10.შინ სწავლება

1. სკოლა შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანს იმ მოსწავლეებს, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი გახდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.
2. მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა(ექსტერნატის გამოცდის ჩაბარება).
3. სკოლა შეადგენს განრიგს, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი/მასწავლებლები დისტანციური სწავლების (ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების) ფორმის გამოყენებით ჩაატარებენ გაკვეთილებს.
4. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ 1 გაკვეთილის ჩატარებას.
5. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას.

6. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.
7. შინ სწავლების შემთხვევაში გაკვეთილების შედგენილი განრიგი იქნება წარმოდგენილი დანართი #10 სახით.

თავი IV. მოსწავლის დისციპლინა და მიღწევები

4.1.დისციპლინა

სკოლა უვითარებს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობის გააზრებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევებს. მასწავლებლების მაგალითი გადამწყვეტია სკოლაში მშვიდი და საქმიანი გარემოს შესაქმნელად. სკოლაში ნორმალური ატმოსფეროს დასანერგად ასევე გადამწყვეტია მოსწავლეებისთვის იმის ჩანერგვაც, რომ სკოლა მათ ეკუთვნით. მხოლოდ ამის დაჯერებით შეიძლება მოსწავლეებმა უარი თქვან სასკოლო სკოლის ინვენტარისა თუ შენობის განზრახ დაზიანებაზე, სკოლაში უხეში კონფლიქტების წამოწყებაზე და სხვა.სკოლაში დისციპლინის მხრივ მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, რომელთა დაცვა ყველასათვის სავალდებულოა. ემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეები თავიანთ დამრიგებლებსა და მშობლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ სკოლის ფსიქოლოგთან. მოსწავლეების დასწრების უზრუნველყოფა სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია.

4.2. დასწრების აღრიცხვა

მოსწავლეების დასწრების რეგულარული აღრიცხვა, მისი ანალიზი და პრობლემებზე რეაგირება კლასის დამრიგებლის პასუხისმგებლობაა. ყველა კლასს (ან განაყოფს) აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ელექტრონული ჯურნალი საგნების მიხედვით, სადაც ხდება თითოეული კლასის მოსწავლის გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვა.

4.3.საერთო კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

საერთო კულტურის ჩამოყალიბებისთვის სკოლა კოორდინირებულად თანამშრომლობის პრონციპით იმუშავებს სხვადასხვა მიიმართულებით: კლასის დამრიგებლების პროგრამა, კათედრების მიერ დაგეგმილი ღონისძიებები, ესგ-ით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი მომსახურება, არაფორმალური

განათლება.იმისათვის, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება, უკეთ გაიცნონ საკუთარი თანატოლები, რომლებიც სხვა ჯგუფებში სწავლობენ, სკოლა ხელს შეუწყობს საგნების სწავლა-სწავლების,სპორტულ, სახელოვნებო ან საკლუბო აქტივობებს, რომლებშიც სხვადასხვა განაყოფების მოსწავლეები იქნებიან გაერთიანებულნი.

4.4.მოსწავლეების აკადემიური მიღწევების აღრიცხვა

ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ტიპები და მათი გაცემის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

საერთო წლიური ან საერთო საფეხურის ნიშანი 9,10 გულისხმობს წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას. მოსწავლე, რომელიც წარჩინებით დაასრულებს საბაზო საფეხურს და საშუალო საფეხურის თითოეულ კლასს (X, XI და XII), დაჯილდოვდება "მადლობის ფურცლით", რომელიც მას გადაეცემა პირადად .

1.მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ნიშანია 10 დამრგვალების გარეშე იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს.

2.მოსწავლე რომლის საშუალო საფეხურის საერთო ნიშანი მეათედამდე დამრგვალების შედეგად არის 9,8 და 9,9 იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლისმედალოსნის ატესტატს.

3.პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასი/კლასების, ან საშუალო საფეხური ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათებლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნის ატესტატი არ გაიცემა.

4.5.წლის საუკეთესო მოსწავლის სტატუსი

სტატუსს მიიღებს საშუალო საფეხურის ის მოსწავლე, რომელსაც გამოავლენს საგანგებოდ არჩეული კომისია წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე. წლის საუკეთესო მოსწავლეს გადაეცემა სტატუსის მიმნიჭებელი დიპლომი და საჩუქარი.

თავი V. არაფორმალური განათლება

მოსწავლეებისთვის,ფორმალური განათლებასტან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლებაც, რომელიც ამაღლებს საერთო სასკოლო კულტურას,ხელს უქწყობს თანამშრომლობით კულტურის გაძლიერება,ამაღებს მოტივაციას როგორც მოსწავლეებში,ასევე მასწავლებლებში.მნიშვნელოვანია, რომ არაფორმალური აქტივობების განხორციელების შედეგად იზრდება როგორც მშობელთა, ასევე სკოლის მასწავლებელთა კმაყოფილებაც. ესგ-ის პრიორიტეტული

თემების ფარგლებში და გამჭოლი კომპეტენციების მეშვეობით სკოლის სხვადასხვა რგოლი გეგმავს აქტივობების ჩატარებას.ეს იქნება კლასის დამრიგებელი, კათედრები თუ დირექცია. სკოლა სთავაზობს შემდეგი ტიპისაქტივობებს:

- ✓ სასკოლო სოციალური პტროექტი;
- ✓ საქველმოქმედო აქციები;
- ✓ ექსკურსიები;
- ✓ სპექტაკლებზე დასწრება;
- ✓ ჯანსაღი ცხოვრების პოპლარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებები;
- ✓ სოციალური აქტივობები;
- ✓ გასვლითი გაკვეთილები;
- ✓ გარემოს დაცვის მიმართულებით ორგანიზებული ღონისძიებები და სხვა.

არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები ასახულია კათედრის სამოქმედო გეგმებში, სადამრიგებლო სამუშაო გეგმაში და სკოლის ღონისძიების გეგმა-კალენდარში (იხ.დანართი №5)

თავი VI.ინკლუზიური განათლება

5.1.ინკლუზიური განათლების ზოგადი კონცეფცია

ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლო პროგრამას და ინდივიდუალური საჭიროებების მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში, მიუხედავად მისი შესაძლებლობების ან სირთულეების სასწავლის პროცესში.

ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღების.

ინკლუზიური განათლება მოითხოვს მთლიანად სკოლის დაუღალავ შრომას იმისთვის, რომ გააძლიეროს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები, გაუმჯობესოს მისი აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად შეუწყოს ხელი მოსწავლის საზოგადოების სურლფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

ინკლუზიური განათლების მიდგომის თანახმად, სპეციალური საგნმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა უმთავრესი პრიორიტეტია.

სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროებების მქონე მოწავლის აკადემიური მხარე ითვალისწინებს ჩვენს სკოლაში არსებულ გამოცდილებას. სკოლას აქვს

შემუშავებული სასკოლო მიზნები, რაც გულისხმობს, რომ უნდა განისაზრვროს მოსწავლის მოსალოდნელი აკადემიური წინსვლა, სწავლებისათვის შესაბამისი აუცილებელი პირობები, გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლის ჯამრთელობის მდგომრეობის გავლენა აკადემიურ მოსწრებაზე.

სკოლაში აქტიურად მოქმედებს ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით დახვეწილი ინკლუზიური განათლება, რომელიც გულისხმობს განათლებისადმი იმგვარ მიდგომას, როცა განათლების სისტემა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის ჩართვას ზოგასაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად.

სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:
ა) ფიზიკური შეზღუდვა;
ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
გ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
დ) მეტყველების განვითარების დარღვევა;
ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
ზ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;
თ)სწავლის უნარის დარღვევა.

სსსმ მოსწავლეებისათვის ვხელმძღვანელობთ ეროვნული სასაწავლო გეგმით, რომელშიც მოცემულია ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო ასპექტი და გვაქვს მოდიფიცირებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თითოეული მოსწავლისთვის. ეს გეგმა ითვალისწინებს ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას.

ინკლუზიური განათლების სასწავლო პროგრამის ზოგადი კონცეფცია სკოლის სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია, რომელიც შეიცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის წლის განმავლობაში განსახორციელებელი სპეც. მომსახურეობის ფორმებისა და საშუალებების, საჭირო რესურსების აღწერილობასა და გამოყენების სპეციფიკას, ასევე, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს.
ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა შეიქმნება იმ ფორმის, რასაც უშუალოდ მოითხოვს კონკრეტული სსსმ მოსწავლის უნარები და საგანმანათლებლო საჭიროება.

განათლების,მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს **მულტიდისციპლინური გუნდი**:
-ახდენს სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიკაციას, შემეცნებითი უნარების, ქცევითი და ემოციური სფეროების შეფასებას, საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრას, ასევე, საგანმანათლებლო ფორმის შერჩევას;

ინკლიუზიური განათლების ზოგადი კონცეფციის მოთხოვნის შესაბამისად,შეიქმნას სკოლის ისგ ჯგუფი, რომელიც:

-მონაწილეობას მიიღებს მულტიდისციპლინარულ გუნდთან ერთად ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა-განხორციელებაში;

-ინდივიდუალური მეცადინეობებისა და სპეც. მომსახურეობის განრიგის შემუშავება/განხორციელებაში;

- მულტიდისციპლინარულ გუნდთან ერთად პასუხისმგებელი იქნება ისგ-ში განსაზღვრული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მიღწევასა და შედეგებზე.

5.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები იქმნება ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სსსმ მოსწავლისათვის, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან **ერთი თვის ვადაში,**ხოლო უკვე იდენტიფიცირებული მოსწავლეებისთვის **2 კვირის ვადაში.**
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება ყველა საგანში, ან რომელიმე კონკრეტულ საგანში/საგნებში სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.

ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად დაგეგმილი და განსაზღვრული იქნება:

ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: მასწავლებელი და/ან სპეციალური მასწავლებელი (საჭიროების შემთხვევაში,

ფსიქოლოგის და სსსმ მოსწავლისათვის დამატებითი დამხმარე პერსონალის (სანიტარი ან ძიძა) ჩართულობით);
ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და მასალით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (მათ შორის, შეიძლება იყოს მშობელიც);
ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.

5.3.ინკლუზიური განათლების რეგულაციები:

1.ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეიცავს აუცილებელ ინფორმაციას მოსწავლის შესაძლებლობების შესახებ , რომელიც მოიპოვება სასწავლო და სხვა აქტივობების დროს მოსწავლეზე დაკვირვებისა და უნარების შეფასების შედეგად.

2. **საგანმანათლებლო საჭიროება განისაზღვრება,** როცა დადგინდება ბავშვის ინტერესები, ძლიერი და სუსტი მხარეები აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით;

3.თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლა განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად **სამუშაო ჯგუფს (ისგ ჯგუფს),** რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და განხორციელებს სასწავლო წლის განმავლობაში;

4. ისგ ჯგუფში **ერთიანდებიან** პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან სსსმ მოსწავლეებს , აგრეთვე მშობელი/მეურვე, სკოლის ადმინისტრაციის წევრი, ფსიქოლოგი ან დამხმარე სპეც. მასწავლებელი;

5.ისგ ჯგუფს **კოორდინაციას** უწევს დამრიგებელი, იგი წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე;

6.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენიდან ჩატარდება ისგ ჯგუფის მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველი სემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა. შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი ამის საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს;

7.ისგ ჯგუფის შეხვედრებზე იწარმოება **სხდომის ოქმები.** ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში;

8.ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენისთანავე დასამტკიცებლად წარედგინება **პედაგოგიურ საბჭოს;**

9. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სსსმ მოსწავლის თითოეული საგნის მასწავლებელი ისგ ჯგუფის კოორდინატორისათვის გადასაცემად ამზადებს სსსმ მოსწავლის მიღწევის ანგარიშს, რომელიც წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

5.4. სსსმ მოსწავლეების აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები:

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმირი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.

სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმის 34-ე მუხლის შესაბამისად.

გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება **მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე.** გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.

თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთი მის პირად საქმეში, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები (კონკრეტული საგნისთვის დათმობილი საათების 30% გაცდენების შემთხვევაში არ უტარდება ექსტერნატის გამოცდა).

5.5.სკოლის მომსახურეობის აღწერა

სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლების საჭიროების შემთხვევაში:

იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში ასაკის შესაბამის კლასში, მაგრამ არ დაესწრება გაკვეთილებს; სკოლა შეუდგენს მას სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება;

მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას,იმ საგნების ჩამონათვალს, რომელიც შინ სწავლებით უნდა დაძლიოს სსსმ მოსწავლემ (შესაძლოა სკოლამ მიიღოს სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციაც);

შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა დაადგენს განრიგს მულტიდისციპლინური გუნდისა და ჯგუფის დახმარებით, რომლის მიხედვითაც საგნის პედაგოგები და აგრეთვე სპეციალისტები განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლა/ისგ ჯგუფი განახორციელებს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგს;

შინ სწავლების პროცესში ჩართული იქნება სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში. იგი იქნება ისგ ჯგუფის წევრი და პედაგოგებთან ერთად პასუხისმგებელი შედეგებზე.

სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას.

მინიმალური დატვირთვა სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში:

კლასი	I-IV	V-VI	VII-IX	X-XII
მინიმალური (ასტრონომიული) საათები კვირის მანძილზე	5 სთ	6 სთ	8 სთ	8 სთ

თუ მულტიდისციპლინური გუნდი მიიჩნევს, რომ ეს საათობრივი დატვირთვა გადამღლელია მოსწავლისათვის, მოახდენს ინდივიდუალური განრიგის მორგებას მოსწავლის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებზე.

ამჟამად სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლა მზაობას აცხადებს მისი მიღების შემთხვევაში ყველა პირობა შეუქმნას და შეუდგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმები წარმოდგენილია დანართის №6 სახით.

თავი VII. სადამრიგებლო პროგრამა

6.1.ძირითადი კონცეფცია

საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის ფონზე სკოლებში სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებისა და წარმართვის მიზნით ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდა სადამრიგებლო პროგრამა, გამოიკვეთა კლასის დამრიგებლის როლი და მნიშვნელობა მოზარდის სრულყოფილ მოქალაქედ ჩამოყალიბებისა და მისი მიზანმიმართული აღზრდის პროცესში.

სკოლის სადამრიგებლო პროგრამა ეფუძნება საქართველოს კანონში "ზოგადი განათლების შესახებ" და ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ მიზნებსა და ამოცანებს. მასში ჩამოყალიბებული ზოგადი პრინციპები ხელს უწყობს მოზარდში დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დაფუძნებას, ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, რომელიც ქმნის წინაპირობას სწორად გაიზიაროს და განივითაროს საკუთარი შესაძლებლობები.

დამრიგებლის მუშაობის მიზანი:

დამრიგებელი მოსწავლის მრჩევლად მოიაზრება. მისი მუშაობა უნდა ემყარებოდეს ზოგადი განათლების ერონულ მიზნებს და ხელს უწყობდეს მოსწავლეებში გონებრირივი და ფიზიკური უნარების განვითარებას, მათ ჩაბმას სხვადასხვა კლუბსა თუ წრეში; ასევე, უნდა უწყობდეს ხელს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უნდა უვითარებდეს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის,საზოგადოებასა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება–მოვალეობების გაცნობიერებაში.

დამრიგებელი ეხმარება მოსწავლეებს სკოლაში უკეთ მოღვაწეობაში,მომავალი პროფესიის არჩევაში, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებაში და სხვა. ძირითადად დამრიგებელი აწესრიგებს სასწავლო ნაწილთან ერთად თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დოკუმენტაციას.

დამრიგებლის მუშაობა უნდა ეყრდნობოდეს **შემდეგ პრინციპებს:**

- **სრულფასოვანი აღზრდა** - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;
- **მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა** - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის შინაგანი ძალების ამოქმედება და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;
- **მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარება** -დამრიგებელმა მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალება უნდა მისცეს მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების

მოგვარებაში. დამრიგებელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები;

- **თანამშრომლობის პრინციპი** – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.

სკოლის დამრიგებელმა მუშაობის პროცესში უნდა გამოიყენოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული და/ან რეკომენდებული მეთოდური სახელმძღვანელოები და გზამკვლევები.

სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს **შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:**

1. შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნა;
2. მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარება და სამოქალაქო ჩართულობა;
3. ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
4. კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრება;
5. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და უსაფრთხოების დაცვა;
6. გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის;
7. კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლება;
8. სამეწარმეო უნარების განვითარება და ინიციატივების წახალისება;
9. თვალსაწიერის გაფართოება.
10. პიროვნული განვითარება.

ამ მიმართულებებით დამრიგებელმა შეიძლება გამოიყენოს **შემდეგი აქტივობები:**

1.სასწავლო შემოქმედებითი აქტივობები 2. მხატვრული 3. შიდა სასკოლო კონკურსენის, შეხვედრების და გამოფენების ორგანიზება. 4. შემეცნებითი-ინტელექტუალური ღონისძიებები. 5. სპორტულ ღონისძიებები.5. პროექტები და სხვა.დამრიგებელი იყენებს კლასთან მუშაობის **შემდეგ ფორმებს:** მოსწავლეებთან საუბრები, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით დისკუსიები, ვიქტორინების, ზეიმების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება, ცნობილ ადამიანებთან და, მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სპეციალისტებთან თუ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა.

კლასის დამრიგებლის წლიური სამოქმედო გეგმა და სააღმზრდელო პროგრამა წარმოდგენილია დანართის №7, №8 სახით.

6.2. მშობელთა ინფორმირების წესი

მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელთა ინფორმირება ხორციელდება თვეში მინიმუმ ერთხელ.

1) ყოველი კვირის პარასკევს, მშობლის დღეა და მას შეუძლია მიიღოს ინფორმაცია შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის შესახებ;

2) საჭიროებიდან გამომდინარე მშობლის ინფორმირება ხდება იმ პრობლემებზე, რაც კლასს აწუხებს;

3) არსებობს მშობელთა ინფორმირების შემდეგი ფორმები:

- საჭიროების შემთხვევაში კლასის დამრიგებლის მშობელთან შეხვედრა;
- წერილობით;
- ელექტრონული ფოსტით;
- ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით: Facebook, messenger, Zoom, Viber,Schoolbook
- სკოლის ვებ– გვერდის საშუალებით.

4)პანდემიის პირობებში მშობელთა ინფორმირება მოხდება დაუსწრებლად ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების მეშვეობით.

მოსწავლეებში რესპირატორული სიმპტომების ან/და სიცხის დაფიქსირების შემთხევაში, მშობელთა ინფორმირება და მათი სკოლაში გამოძახება მოხდება გამონაკლისის სახით.

5) I – IV კლასებში წლის ბოლოს ხდება მოსწავლეთა დახასიათება განმავითარებელი კომენტარებით.მშობლების შეტყობინების ფორმაა შევსებული ფორმების ელექტრონული ვერსიების დაგზავნა კლასის დამრიგებლების მიერ.

6) მშობლების მიერ შევსებული ანკეტები და კითხვარების ანალიზი საშუალებას აძლევს გათვალისწინებულ იქნეს მათი სურვილები და რეკომენდაციები.

თავი VIII. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვა

ვინაიდან სკოლას აქვს შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსი, ის IX და XI კლასის მოსწავლეებს სთავაზობს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების პროგრამას, რომელსაც ჩაატარებენ კლასის დამრიგებლები და ფსიქოლოგი. IX კლასში ჩატარდება წელიწადში 8 გაკვეთილი, XI კლასში კი - 4. მეცადინეობის ფორმები და მეთოდებია დისკუსია, როლური თამაშები, გონებრივი იერიში, ტესტირება, გამოკითხვა, ფსიქოდიაგნოსტიკა, ვიდეო რგოლების ანალიზი, პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრები და სხვა.**პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების პროგრამა და განრიგი წარმოდგენილია** დანართის № 9 სახით.

თავი IX. დისტანციური სწავლება

დადგენილი რეგულაციებისგან განსხვავებულ პირობებში მინისტრის 2020 წლის 09 სექტემბრის 95/ნ ბრძანების საფუძველზე დისტანციური სწავლების დროს შემუშავდება დისტანციური სწავლების განრიგი და საათობრივი ბადე შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე შემდეგნაირად:

1) თუ მთლიანად სკოლა გავადავა ონლაინ სწავლებაზე,სასწავლო პროცესი განხორციელდება მოქმედი გაკვეთილების ცხრილის შესაბამისად, გაკვეთილების თანმიმდევრობა და ხანგრძლივობა არ აიცვლება.
2) თუ სამინისტროს გადაწყვეტილებით მოსწავლეებს მიეცემა ფორმატის (პირისპირ ან დისტანციურად) არჩევის შესაძლებლობა, მშობლებისგან მიღებული განცხადებების საფუძველზე შეიქმნება დისტანციური სწავლების კლას-კომპლექტები(პარალელები) და შედგენილი იქნება სხვა განრიგი,რომელიც მოიაზრებს ონლაინ სწავლების სინქრონულ და ასინქრონულ მოდელს. განრიგი და საათობრივი დატვირთვა იქნება შედგენილი სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად.

დისტანციური სწავლების დროს განხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი შემდეგი მიმართულებით:

- ✓ ჩატარდა თუ არა დისტანციური გაკვეთილები დადგენილ დროსა და დადგენილი ხანგრძლივობით;
- ✓ მოხდა თუ არა დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების დასწრების აღრიცხვა;

- ✓ მოხდა თუ არა დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების აღრიცხვა და მიზეზების კვლევა;
- ✓ დაცულია თუ არა ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმები.

სასკოლო გეგმაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება პედსაბჭოზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების შესაბამისად.